მე-7 კლასი

ძირითადი დავალებები *(50 ქულა)*

1. გამოთვალეთ: $99 * (59 - 29) + (14 + 17 - 1) * 101$ *(4 ქულა)*
   A) 2970 B) 6000 C) 3030

2. იპოვეთ ჩამოთვლილთაგან უმცირესი წილადი, რომელიც $\frac{1}{4}$-ს და $\frac{5}{6}$-ს შორის არის მოთავსებული: *(4 ქულა)*
   A) $\frac{17}{24}$ B) $\frac{5}{24}$ C) $\frac{19}{24}$

3. მოცემულია $\frac{x}{z} = \frac{10}{11}, \frac{y}{z} = \frac{18}{22}$ და $\frac{x}{y} = \frac{5}{9}$. გამოიანგარიშეთ $\frac{x}{z} * \frac{z}{y}$ *(4 ქულა)*
   A) $\frac{10}{11}$ B) $\frac{18}{22}$ C) $\frac{10}{18}$

4. მეგობრებმა, რომლებიც კინგსის ოლიმპიადაზე მიიჩქაროდნენ, მთლიანი გზის 4/7 ნაწილის გავლის შემდეგ შეამჩნიეს, რომ გზის ნახევარი და კიდევ 3 კილომეტრი ჰქონდათ გავლილი. რამდენი კილომეტრია მთლიანი გზა, რომელიც ბავშვებს გასავლელი აქვთ ოლიმპიადამდე? *(5 ქულა)*
   A) 21კმ B) 14კმ C) 42კმ

5. მომდევნო 3 რიცხვის ჯამი უდიდესი სამნიშნა რიცხვის და უდიდესი ორნიშნა რიცხვის სხვაობის ტოლია . რას უდრის ამ მომდევნო რიცხვებს შორის უდიდესი? *(5 ქულა)*
   A) 900 B) 897 C) 301

6. ჩამოთვლილთაგან რომელი გამოსახულება იყოფა 9- ზე? *(5 ქულა)*
   A) 645462 - 1233 B) 379120 - 58915 C) არცერთი

7. ტოლგვერდა სამკუთხედის პერიმეტრი 36სმ-ის ტოლია. იპოვეთ კვადრატის ფართობი, რომლის გვერდი მოცემული სამკუთხედის გვერდის ტოლია. *(5 ქულა)*
   A) 48 B)144 C) 36

8. რა ნაშთს მოგვცემს 5a:3 გამოსახულება, თუ ვიცით, რომ a 9-ზე უნაშთოდ იყოფა? *(6 ქულა)*
   A) 1 B) 2 C) 0

9. რამდენი სამნიშნა რიცხვი არსებობს, რომლის ერთეულებისა და ასეულების რიცხვი 4-ის ტოლია და თან ეს რიცხვი 3 ის ჯერადია? *(6 ქულა)*
   A) 3 B) 5 C) 7

10. ლაშას ხელფასი 25%-ით გაეზარდა, ნახევარ წელიწადში კი კიდევ 25%-ით გაეზარდა. რამდენი პროცენტით გაეზარდა ხელფასი თავდაპირველთან შედარებით? *(6 ქულა)*
    A) 125% B) 50.75% C) 56.25%

ბონუს დავალებები *(8 ქულა)* - კითხვები ფინანსური განათლებიდან

ტესტის მაქსიმალური ქულაა 50. ბონუს დავალებების ქულა ძირითადი დავალებების ქულას დაემატება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ძირითად ნაწილში ვერ დააგროვებს უმაღლეს ქულას.

1. ნიკამ ბანკში 350 ლარით 140 აშშ დოლარი იყიდა. გაცვლითი კურსია: 1 აშშ დოლარი = რამდენ ლარს?
   A) 2,53 ლარი B) 2,5 ლარი C) 0,4 ლარი

2. ელენემ თურქეთში გამგზავრებამდე 300 ლარი გადაცვალა ლირაში. გაცვლითი კურსი იყო: 1 ლარი = 2 ლირა. რამდენ ლირას მიიღებდა ელენე 300 ლარის სანაცვლოდ? *(4 ქულა)*
   A) 200 B) 300 C) 600